# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/44

ქ. თბილისი 5 მარტი 2019წ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის**
**სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ზ$^{2}$ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის რ$^{5}$-ექვეპუნქტისა და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ნ$^{1}$-ექვეპუნქტის, უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრისდებულების, ცენტრის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო საბჭოს წარდგინების(ოქმი #3 11.02.2019) საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისსაწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები ქვემოთ მითითებულ სამეცნიერო თანამდებობაზე:

1.1. **მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილებისმთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 0.5 საშტატო ერთეული** - მოეთხოვება არანაკლებ 5 წლის გამოცდილება

ენერგიის ტრადიციული და არატრადიციული, განახლებადი ენერგორესურსების (მზე, ქარი, თერმული წყლები, ბიომასა), ასევე ენერგოდაზოგვის პრობლემების კვლევის სფეროში;

1.2. **ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების და ეკოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 0.5 საშტატო ერთეული** - მოეთხოვება არანაკლებ 5 წლის გამოცდილება არაორგანული ნივთიერებების (მათ შორის მინერალური სასუქების) და მცენართა დაცვის საშუალებების ტექნოლოგიების, ასევე წყლის რესურსებისდასაყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების ეკოლოგიური პრობლემების კვლევის სფეროში;

1.3. **მიწის, წყლის და ტყის რესურსების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 0.5 საშტატო ერთეული** - მოეთხოვება არანაკლებ 5 წლის გამოცდილება სასოფლო სამეურნეო წარმოების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და მართვის პრობლემების კვლევის სფეროში. ასევე აგრარულ სფეროში საკანონმდებლო აქტებზე მუშაობის გამოცდილება.

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე